არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

N050/01 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ვ“ პუნქტების შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დანართის №1 შესაბამისად.
2. ბრძანების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში დაევალოთ უნივერსიტეტის შესაბამის პერსონალს.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

მუხლი 1. მოქმედების სფერო

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (შემდგომში მეთოდოლოგია) განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხილვის, შეფასების დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის წესსა და პროცედურებს.

მუხლი 2. მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამისადმი

1. საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში პროგრამა) წარმოადგენს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/კომპონენტების ერთობლიობას.

2. პროგრამა უნდა იყოს შედგენილი ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

3. პროგრამაზე მიღების წინაპირობები უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

4. პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას, იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე და მიღწევადი.

5. პროგრამით სწავლის შედეგები უნდა იყოს აღწერილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და დარგობრივ მახასიათებლებს (არსებობის შემთხვევაში).

6. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები უნდა იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული.

7. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სათანადო დონით, აგრეთვე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე.

8. პროგრამაში მითითებული უნდა იყოს:

ა) პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად) - შესაძლებელია პროგრამის სახელწოდება არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას;

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად) - მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან;

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით - ბაკალავრიატის პროგრამები მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს; დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა მოიცავს არანაკლებ 360 კრედიტს; დიპლომირებული სტომატოლოგის და/ან ვეტერინარის პროგრამა მოიცავს არანაკლებ 300 კრედიტს; მაგისტრატურის პროგრამები მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს ხოლო დოქტორანტურის პროგრამები მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტის;

დ) სწავლების ენა - პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ქართულ ან უცხოურ ენაზე. პროგრამაში უნდა მიეთითოს რომელ ენაზე ხორციელდება პროგრამა;

ე) პროგრამაზე მიღების წინაპირობა;

ვ) პროგრამის მიზნები;

ზ) სწავლის შედეგები - სწავლის შედეგი წარმოადგენს კომპეტენციების ერთობლიობას, რომლითაც განისაზღვრება თუ რა იცის, რას აცნობიერებს, (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება შეუძლია (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები აქვს კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ;

თ) სწავლების მეთოდები - პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლების/სწავლის მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა - სტუდენტის ცოდნის შეფასება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას და პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას;

კ) პროგრამის სასწავლო გეგმა - სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა სავალდებულო და არჩევით კომპონენტს, შესაბამისი კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების, დაშვების წინაპირობების და სემესტრების მითითებით. სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ჯამი უნდა აღემატებოდეს არჩევითი სასწავლო კურსებისთვის პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობას;

ლ) პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი;

მ) კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო - დასაქმების სფერო უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზანს, შინაარსს და კურსდამთავრებულის კომპეტენციებს;

ნ) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა - უნდა მიეთითოს საქართველს კანონმდებლობის შესაბამისად, აკადემიური უმაღლესი განათლების რომელ საფეხურზე შეძლებს კურსდამთავრებული სწავლის გაგრძელებას.

9. საგანმანათლებლო პროგრამებს უნდა ახლდეს:

ა) სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები) - სილაბუსში მიეთითება: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი, ლექტორი/ლექტორები, სასწავლო კურსის მიზნები, კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები), სასწავლო კურსის წინაპირობა, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების/სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების სისტემა, ძირითადი ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. სასწავლო კურსი შესაძლებელია იკითხებოდეს უცხოურ ენაზე შესაბამისი წინაპირობის დაცვით;

ბ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ (გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა);

გ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ;

დ) ინფორმაცია პროგრამის ფინანსური მდგრადობის შესახებ;

ე) სწავლის შედეგების რუკა;

ვ) პროგრამის დამტკიცების აქტი.

მუხლი 3. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი

1. პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი.

2. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

3. პროგრამის რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანი შეიძლება იყოს კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელთა საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე.

4. პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით მოწვეულმა პირმა.

5. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი პასუხისმგებელია პროგრამის შინაარსობრივ მხარესა და პროგრამის თანამედროვე სასწავლო მასალით უზრუნველყოფაზე.

6. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი ვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დროულად მიაწოდოს ინფორმაცია გასაახლებელი სასწავლო მასალების/შესაძენი სასწავლო მასალის შესახებ.

7. პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს ევალება: მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია კურიკულუმის შესახებ, გაუწიოს მათ კონსულტაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და სხვ.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა

უნივერსიტეტი ატარებს შრომის ბაზრის კვლევას მოთხოვნადი სპეციალობების განსაზღვრის მიზნით და განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებას დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, დარგის სპეციალისტები და სხვა) კონსულტაციების საფუძველზე.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

1. საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). პროგრამის შემუშავების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარდა მონაწილეობას ღებულობს დაინტერესებული მხარეები (დარგის სპეციალისტები, პოტენციური დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ.).

2. საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და დადებითი შეფასების შემთხვევაში, პროგრამას განსახილველად გადასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს და ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან და უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებთან.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში, პროგრამა უბრუნდება ფაკულტეტის საბჭოს მითითებული შენიშვნების გასათვალისწინებლად.

3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წერილობით წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

1. უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) ახორციელებს სასწავლო პროცესის, მათ შორის საგამოცდო პროცესის, მონიტორინგს;

ბ) ატარებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პროგრამის განმახორციელებელი ან/და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვებს;

გ) საჭიროების შემთხვევაში ახდენს ინტერვიუირებას;

დ) ახორციელებს სასწავლო მასალების განახლების მონიტორინგს;

ე) აწარმოებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს;

ვ) პერიოდულად ახორციელებს პროგრამის, სასწავლო კურსების სილაბუსებისა და შესაბამისი მასალების ტექნიკურ ექსპერტიზას;

ზ) საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და გადასცემს შესაბამის ფაკულტეტს.

3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და აძლევს მითითებებს პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს პროგრამაში ცვლილებების გათვალისწინების თაობაზე.

4. საგანმანათლებლო პროგრამებში უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული ცვლილებები აისახება ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებში და იგზავნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის განხორციელების შეფასებისას გამოვლენილი სუსტი მხარეები და რისკ-ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის სიმცირე, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე სტუდენტთა მხრიდან პროგრამის მიმართ ინტერესის არარსებობა, სტუდენტთა და

კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა და სხვა.

2. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის ინიცირებით და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის გათვალისწინებით მიიღება ფაკულტეტის საბჭოზე.

3. ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პროგრამის გაუქმების შესახებ წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

4. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი პროცესებისა და პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.

5. იმ შემთხვევაში, თუკი გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან სტუდენტები, მათი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა განხორციელდება დადგენილი წესით.

მუხლი 9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სასწავლო კურსების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების განსხვავებულ მოთხოვნებს, საჭიროებებსა და აკადემიური მომზადების დონეს.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე/გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის, მობილობით/შიდა მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის, აკადემიური ჩამორჩენილობის ან განსაკუთრებული აკადემიური მიღწევების მქონე, სტატუს აღდგენილი, მსჯავრდებული სტუდენტებისთვის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის მათი კვლევითი კომპონენტის საჭიროებებიდან გამომდინარე და სხვ. მათი განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანამანათლებლო პროცესში სტუდენტების შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

3. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში შეიძლება მითითებულ იქნას სასწავლო კურსის/კურსების სახელწოდება, კრედიტების მოცულობა, სწავლების სემესტრი, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმები და პირობები, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო განსხვავებული მოთხოვნები მატერიალური რესურსის მიმართ და სხვ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შინაარსი და სტრუქტურა დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებებზე.

4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.

5. სემესტრის დასაწყისში, ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში, სტუდენტი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის ადმინისტრაციას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის თხოვნით. განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება. განცხადებას თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში).

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ: სტუდენტმა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა/ხელმძღვანელებმა/კოორდინატორმა, სასწავლო კურსების განმახორციელებელმა ლექტორმა/ლექტორებმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა.

7. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აისახება სასწავლო პროცესის მართვის ბაზაში აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში. განსხვავებული ვადები შეიძლება დადგინდეს ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე/გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა სწავლების ხარისხის შეფასების ფორმები, პერიოდულობა და მისი განმახორციელებელი მხარეები

	შეფასების ფორმა	შეფასების ძირითადი აქცენტები	პერიოდულობა	შეფასებაში მონაწილე სტრუქტურები
1	სტუდენტების გამოკითხვა	საგანმანათლებლო პროგრამები; სწავლა-სწავლება, სასწავლო კურსებით კმაყოფილება; სწავლება-სწავლის მეთოდების ადექვატურობა; შეფასების მეთოდების ადექვატურობა; შეფასების გამჭვირვალობა და სამართლიანობა;პედაგოგის უკუკავშირი; სასწავლო ლიტერატურით კმაყოფილება; აკადემიური და ადმინსტრაციული პერსონალით, სასწავლო გარემოთი, მატერიალური რესურსით კმაყოფილება ; იცნობ თუ არა სილაბუსს, საგნისთვის განსაზღვრული საკონტაქტო /დამოუკიდებელი საათებით	ყოველსემესტრულად გამონაკლის შემთხვევებში საჭიროებისამებრ	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამივე საფეხურის სტუდენტები, პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტების დეკანატი

		კმაყოფილება,სახელმძღვანელოების დონე და სხვა		
2	აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა	სწავლება-სწავლის მეთოდების ადექვატურობა; შეფასების მეთოდების/შინაარსის ადექვატურობა; სასწავლო გარემოს ადექვატურობა, სასწავლო რესურსებით კმაყოფილება, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებით კმაყოფილება; ბიბლიოთეკით, მატერიალური რესურსით კმაყოფილება; სასწავლო კურსის დატვირთის სქემით კმაყოფილება და ა.შ.	ყოველწლიურად ან კურსის დამთავრების შემდეგ, საჭიროებისამებრ გამონაკლის შემთხვევებში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტების დეკანატი,
3	კურსდამთავრებულთა კმაყოფილება საგანმანათლებლო პროგრამით	პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; მათ მიერ მიღებული ცოდნის შესაბამისობა დამსაქმებელთა მოთხოვნებთან და სხვა.	საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ ***(რეკომენდაცის თანახმად დამთავრებისთანავე)***	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების დეკანატი. სერვისების განვითარების და კომუნიკაციების სამსახური

4	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვა და შეფასება	ადმინისტრაციაში შექმნილი გარემო, თანამდებობრივი მოვალეობების და უფლებების შესახებ ინფორმულობა, შრომის მოტივაციის სისტემა, კომუნალური ინფრასტრუქტურა, ეთიკური ნორმების და შინაგანაწესის დაცვა და სხვა	წელიწადში ერთხელ	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების დეკანატი. სერვისების განვითარების და კომუნიკაციების სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური,სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი
5	დამსაქმებელთა გამოკითხვა	უნივერსიტეტში შექმნილი სასწავლო გარემო, კურსდამთავრებულთა ცოდნის დონე, პრაქტიკული უნარები, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა,ჩართულობა პროგრამების შემუშავებაში	წელიწადში ერთხელ, პერიოდულად საჭიროებისამებრ	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების დეკანატი. სერვისების განვითარების და კომუნიკაციის სამსახური, დამსაქმებლები.
6	აკადემიური მოსწრების მონიტორინგი	სწავლა-სწავლების შეფასების გამჭვირვალობა და	ყოველსემესტრულად პერიოდულად საჭიროებისამებრ	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების დეკანატი.

		სამართლიანობა; შეფასების ადექვატურობა და ა.შ		სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტები
7	სწავლის შედეგების შეფასება	პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონე; სამიზნე ნიშნულების შესაბამისობა.	გეგმიურად საჭიროებისამებრ	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების დეკანატი. პროგრამის ხელმძღვანელები
8	საგანმანათლებლო პროგრამების შიდა თვითშეფასება	პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდების შესაბამისობა მოთხოვნებთან(ცვლილებების გათვალისწინებით) პროგრამის რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასების შეჯამება	ყოველწლიურად, საჭიროებისამებრ	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების დეკანატი. პროგრამის ხელმძღვანელები აკადემიური და მოწვეული პერსონალი